საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N ო-58

20/03/2019

58-0-4-201903201714

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126[1] -ე მუხლის მე-4 პუნქტის, 35-ე, 36-ე, 39-ე, მე-40, 41-ე, 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თანამშრომელთა მიღებასთან დაკავშირებით გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემდეგ პოზიციებზე:

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საშტატო ნუსხა				
თანამდებობის დასახელება				
ინსპექტირების სამსახური				
სპეციალისტი		ვაკანსია	1300	1
სულ სამსახურში			1300	1
ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია				
დაცვის განყოფილების უფროსი (IIკატეგორია)		ვაკანსია	1100	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			1100	1
ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი		ვაკანსია	900	1

ადმინისტრაციის ბუღალტერი		ვაკანსია	650	1
რეინჯერი	მესამე უბანი თრუსოს ხეობა	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	პირველი უბანი დარიალის სნოს ხეობა	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	მეორე უბანი ჯვრის უღელტეხილი-არაგვის ხეობა	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			4250	5
აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია				
ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	აჯამეთის აღკვეთილი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			900	1
თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
დაცვის განყოფილების უფროსი (Iკატეგორია)		ვაკანსია	1300	1
ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	ადმინისტრაცია სოფ. საგურამო	ვაკანსია	900	1
უბნის უფროსი რეინჯერი	გარდაბნის უბანი	ვაკანსია	1000	1
უბნის უფროსი რეინჯერი	საგურამოს უბანი	ვაკანსია	1000	1
რეინჯერი	გლდანის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	საგურამოს უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	გლდანის უბანი (კევლიანი)	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	საგურამოს უბანი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			7800	8
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია				
დაცვის განყოფილების უფროსი (Iკატეგორია)		ვაკანსია	1300	1
რეინჯერი	საწურბლია	ვაკანსია	900	1

სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			2200	2
მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
დაცვის განყოფილების უფროსი (Iკატეგორია)		ვაკანსია	1300	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			1300	1
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია				
რეინჯერი	ლაგოდეხის სატყეო უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	გურგენიანის სატყეო უბანი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			1800	2
თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია				
ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	ადმინისტრაციული განყოფილება	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	ჭანჭახოვანის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	გომეწრის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	გომეწრის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	ჩაღმა უბანი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			4500	5
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	ბორჯომის ოფისი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	ნაკრძალის და ბორჯომის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	ნაკრძალის და ბორჯომის უბანი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	ნუნისის უბანი	ვაკანსია	900	1
სწრაფი რეაგირების რეინჯერი		ვაკანსია	900	1

სწრაფი რეაგირების რეინჯერი		ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			5400	6
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
უბნის უფროსი რეინჯერი	კოლხეთის უბანი	ვაკანსია	1000	1
რეინჯერი	კოლხეთის უბანი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			1900	2
ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია				
რეინჯერი	ბუღდაშენის აღკვეთილი	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			900	1
ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია				
ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი		ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			900	1
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია				
რეინჯერი	მარტვილის კანიონი	ვაკანსია	900	1
რეინჯერი	კინჩხა	ვაკანსია	900	1
სულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში			1800	2
სულ სააგენტოში ჯამი:				38

2. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა კანდიდატის მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ ელექტრონულად, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო

მოთხოვნებთან დაკავშირებით. კანდიდატი ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) შესაბამის ველში ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუ სტაჟი მოთხოვნილია, შრომის წიგნაკი

(არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც

ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული

თანამდებობა); საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა);

4. დამტკიცდეს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ფორმა და პირობები

შემდეგი სახით:

ა) საბუთების მიღება განხორციელდეს საჯარო კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) კონკურსის შედეგად ერთ ვაკანსიაზე შერჩეულ იქნას ერთი კანდიდატი, რომელიც თავისი

პროფესიული ჩვევებით, კვალიფიკაციით, შესაძლებლობებითა და პიროვნული თვისებებით

შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გ) კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც კონკურსის გამოცხადებისთვის მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას;

დ) კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ეტაპებად:

დ.ა) აპლიკაციების გადარჩევა/შეფასება - შემოტანილი განაცხადის ვაკანსიისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ.ბ) ინტერვიუ - ზეპირი გასაუბრება, მათ შორის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე

კონკრეტული უნარის დამატებით შემოწმება (ზეპირი დავალება, პრეზენტაცია, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.). კომისია უფლებამოსილია, კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება, ზეპირი დავალება) ჩაატაროს skype-ის მეშვეობით.

ე) საკონკურსო კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს შერჩეულ მხოლოდ ერთი კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

ვ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს ღია კენჭისყრის საფუძველზე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ

არანაკლებ 3 წევრისა. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

ზ) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადარჩევის ეტაპის

განხორციელება დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის პასუხისმგებელ პირს.

5. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისთვის სათანადო გადაწყვეტილების წარდგენიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

6. დაევალოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უზრუნველყოს კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

7. საკონკურსო კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას.

8. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს კონკურსის შედეგები ატვირთოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის შესაბამის მოდულში.

9. საკონკურსო კომისიის მისამართი: ქ. თბილისი გულუას ქ. №6.

10. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ეს ბრძანება მისი გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

საფუძველი: ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის 2019 წლის 20 მარტის N 2822 მოხსენებითი ბარათი.

ვალერიან მჭედლიძე

თავმჯდომარე